

შპს „ა 91“

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

გვერდი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5

შპს „ა 91“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ლარი)
 2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	31 დეკემბერი, 2021 წ.	31 დეკემბერი, 2020 წ.	შენიშვნა
აქტივები:			
ფული და ფულის ეკვივალენტები	390	1 080	4
სავაჭრო მოთხოვნები	34 393	8 441	5
გადახდილი ავანსები	180	488	
საგადასახადო აქტივები	5 516	17 057	
საინვესტიციო ქონება	1 972 900	2 135 950	6
ძირითადი საშუალებები	29 408	37 429	7
აქტივები სულ:	2 042 788	2 200 444	
ვალდებულებები:			
სავაჭრო ვალდებულებები	1 560	-	
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	14 391	3 666	
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	3 500	-	
ვალდებულებები სულ:	19 450	3 666	
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	3 240 000	3 240 000	
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	(1 216 663)	(1 043 222)	
კაპიტალი სულ:	2 023 337	2 196 778	
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	2 042 788	2 200 444	

ხელმოწერი პირები:



დირექტორი

18 აგვისტო, 2022
 თბილისი, საქართველო



მთ. ბუღალტერი

18 აგვისტო, 2022
 თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ა 91“

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (ლარი)

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

	2021 წელი	2020 წელი	შენიშვნა
ამონაგები			
მომსახურების გაწევიდან	255 553	450 952	8
საერთო მოგება	255 553	450 952	
დასაქმებულთა ანაზღაურება	(224 164)	(428 675)	
ცვეთა და ამორტიზაცია	(171 070)	(165 723)	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(33 759)	(25 876)	9
მოგება საოპერაციო საქმიანობიდან	(173 441)	(169 322)	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)	-	47 321	10
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე	(173 441)	(122 002)	
მოგების გადასახადი	-	-	
წლის წმინდა მოგება	(173 441)	(122 002)	
წლის სრული შემოსავალი	(173 441)	(122 002)	
საკუთარი კაპიტალის საწყისი ნაშთი	2 196 778	2 318 780	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2 196 778	2 318 780	

ხელმოწერი პირები:



დირექტორი

18 აგვისტო, 2022

თბილისი, საქართველო



მთ. ბუღალტერი

18 აგვისტო, 2022

თბილისი, საქართველო

თანდართული შენიშვნები 5-15 გვერდებზე წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ა 91“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

1. შესავალი

კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „ა 91“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას. კომპანია რეგისტრირებულია 2014 წლის 31 იანვარს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია - 404464334. იურიდიული მისამართია - საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, დ. აღმაშენებლის გამზ., №91. კომპანიის დირექტორია ნატო ჩიკვილაძე.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს უძრავი ქონების გაქირავება.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენენ:

კონსტანტინე ოსიპოვი - 40%;
გიორგი კიკალიშვილი - 9.5%;
ირაკლი კიკალიშვილი - 9.5%;
გიორგი ყურაშვილი - 12.7%;
თამარ ხუნდაძე - 6.3%;
ანა სვანაძე - 11%;
მაია სვანაძე - 11%.

კომპანიას არ ჰყავს შვილობილი საწარმოები.

2. შედგენის საფუძველი და მნიშვნელოვანი სააღივებო პოლიტიკა

განცხადება შესაბამისობის თაობაზე

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ("მსს ფასს") მიხედვით.

გაანგარიშების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების პრინციპის საფუძველზე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია უახლოეს მთელზე თუ სხვა რამე არ არის მითითებული.

კომპანიის სამომავლო ფუნქციონირების საკითხი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირების განგრძობითობის კონცეფციის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა საქართველოში არსებული მაკროეკონომიკური გარემო, დადებითი ფულადი ნაკადები, ოპერაციების მომგებიანობა და ადგილობრივი ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა.

შესაბამისად, კომპანიის მენეჯმენტი მიიჩნევს რომ ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია იმ დაშვების საფუძველზე, რომ კომპანია მომავალშიც დარჩება ფუნქციონირებად საწარმოდ და შეძლებს თავისი აქტივების რეალიზაციასა და ვალდებულებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

შპს „ა 91“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

საოპერაციო და ანგარიშგების ვალუტა

ეს ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ქართულ ლარში ("ლარი"), რადგან ეს ვალუტა ყველაზე კარგად ასახავს კომპანიის ეკონომიკურ მდგომარეობას, მის გარშემო არსებულ სიტუაციას და განხორციელებულ გარიგებებს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (გარდა განსაზღვრული ნახსენები შემთხვევებისა), რადგან ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ეს არის მეტად გამოსადეგი ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთათვის.

უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი ნაშთების წარმოსადგენად გამოყენებული კურსი:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი
1 დოლარი/ლარი	3.0976	3.2766
1 ევრო/ლარი	3.5040	4.0233

ფული და ფულის ეკვივალენტები.

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება საბანკო ანგარიშებზე განთავსებული ნაშთებისგან.

ფინანსური ინსტრუმენტები

მსს ფასს-ის მე-11 განყოფილება - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, ეხება ფინანსური აქტივების და ვალდებულებების კლასიფიკაციას, გაზომვას და აღიარებას.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

აღიარება

როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, საწარმომ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას საწარმოსთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაქტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება).

შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი, მაგალითად, დაქირავებული პირისთვის სესხის მიცემა უპროცენტოდ, ან საბაზრო განაკვეთზე დაბალი საპროცენტო განაკვეთით.

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმომ ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება უნდა შეაფასოს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით.

როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალებები, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული საქმიანობისთვის ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხება მის თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება და ზარალი რომელიც წმომიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწერიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებული სარგებლისა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშებში.

ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღირიცხება დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწერილ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშებში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთა

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება ზარალის ანგარიშებში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივების სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

	სასიცოცხლო პერიოდი
შენობა ნაგებობები	20 წელი
ოფისის აღჭურვილობა და სხვა	5-10 წელი

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონებით ხდება საიჯარო შემოსავლის მიღება და / ან ქონების ფასის ზრდით მოგების მიღება.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მოიცავს შესყიდვის ფასს და შეძენასთან დაკავშირებულ ნებისმიერ პირდაპირ ხარჯს.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მისი გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც აღარ არის მოსალოდნელი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აქტივიდან. საინვესტიციო ქონების გაყიდვის შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი განისაზღვრება, როგორც სხვაობა გაყიდვებიდან მიღებულ შემოსავლებსა და აქტივის ნარჩენ საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

ამონაგების აღიარება

კომპანია საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ფართების იჯარით გაქირავება. ამონაგები კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებიდან აღიარდება მაშინ როდესაც კონტროლი საქონელსა და მომსახურებაზე გადადის კლიენტზე იმ თანხით რასაც კომპანია ელოდება რომ მიიღებს საქონლის ან მომსახურების სანაცვლოდ.

მოგების გადასახადები

მიმდინარე გადასახადი არის საგადასახადო ვალდებულება პერიოდის დასაბეგრ მოგებაზე, დადგენილ საგადასახადო განაკვეთზე ანგარიშგების თარიღისთვის და საგადასახადო ვალდებულების ყველა შესწორება დაკავშირებულია წინა წლებთან.

დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება ვარაუდს, რომ ფინანსური ანგარიშგების დროს უნდა მოხდეს შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების შევსება. გადასახადები, ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული აქტივის საბალანსო ღირებულება გადახედილ იქნება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და შემცირდება იმის საფუძველზე, რომ აღარ არის ალბათობა საკმარისი დასაბეგრი მოგების წარმოშობისა, რათა მიეცეს აქტივის უკან მიღების ნაწილობრივი ან სრული შესაძლებლობა.

გადავადებული გადასახადები განისაზღვრება იმ საგადასახადო ნორმით, რომელიც მოსალოდნელია, რომ გამოყენებული იქნება საანგარიშგებო პერიოდში. გადავადებული საგადასახადო აქტივი აღიარდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია, რომ მისი გამოყენება შესაძლებელი იქნება მომავალი მოგების გასაქვითად.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის ყველაზე დაბალი ღირებულებით. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან და მის არსებულ სამუშაო მდგომარეობაში მიყვანასთან. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, დაკავშირებული აქტივის გაყიდვასთან.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და მსჯელობა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივებისა და

შპს „ა 91“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობის სხვადასხვა ინტერპრეტაცია.

თავდაპირველი აღიარება დაკავშირებულია მხარის ოპერაციებთან. ჩვეულებრივად, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. სტანდარტი მოითხოვს, ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის განსასაზღვრად შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, რისთვისაც ითვალისწინებს სხვადასხვა ფაქტორებს, ისეთებს როგორიცაა ტექნიკური მხარე, კომერციული გამოყენება, ძირითადი საშუალებების გამოყენების ვადა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს საუკეთესო გზით შეაფასოს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა, ის შეიძლება განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

4. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	390	1 080
	390	1 080

მიმდინარე ანგარიშები განთავსებულია საქართველოს ბანკებში.

5. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი, 2021 წ. (ლარი)	31 დეკემბერი, 2020 წ. (ლარი)
ადგილობრივი დამკვეთები	34 393	8 441
	34 393	8 441

ყველა სავაჭრო მოთხოვნა არის მოკლევადიანი და უპროცენტო. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების წმინდა ღირებულება მიახლოებულია საბალანსო ღირებულებასთან. ფინანსური აქტივები, რომლებიც პოტენციურად აყენებს კომპანიას საკრედიტო რისკის ქვეშ, შედგება სავაჭრო და სხვა დებიტორული

შპს „ა 91“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

დავალიანებისგან. ყოველი წლის ბოლოს კომპანია აფასებს დებიტორების გადახდისუნარიანობას და საჭიროების შემთხვევაში აკეთებს რეზერვებს. ყველა მოთხოვნა არის დენომინირებული ლარში.

6. საინვესტიციო ქონება

	შენიშნა- ნაგებობები	სულ
	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 261 000	3 261 000
დამატება	-	-
(შემცირება)	-	-
გადაფასება	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 261 000	3 261 000
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 125 050	1 125 050
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	163 050	163 050.00
ჩამოწერა	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 288 100	1 288 100
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 972 900	1 972 900

	შენიშნა- ნაგებობები	სულ
	(GEL)	(GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 261 000	3 261 000
დამატება	-	-
(შემცირება)	-	-
გადაფასება	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3 261 000	3 261 000
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	962 000	962 000
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	163 050	163 050.00
ჩამოწერა	-	-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 125 050	1 125 050
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 135 950	2 135 950

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)
2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

7. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	40 102	40 102
დამატება	-	-
(შემცირება)	-	-
გადაფასება	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	40 102	40 102
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 673	2 673
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	8 020	8 020
ჩამოწერა		-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	10 694	10 694
ნარჩენი ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29 408	29 408
	კომპიუტერული ტექნიკა და აღჭურვილობა (GEL)	სულ (GEL)
ისტორიული ღირებულება		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
დამატება	40 102	40 102
(შემცირება)	-	-
გადაფასება	-	-
სულ ისტორიული ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	40 102	40 102
ცვეთა, ამორტიზაცია და გაუფასურება		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	2 673	2 673
ჩამოწერა		-
სულ აკუმულირებული ცვეთა ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2 673	2 673
ნარჩენი ღირებულება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	37 429	37 429

შპს „ა 91“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

8. ამონაგები

	2021 წელი (ლარი)	2020 წელი (ლარი)
მომსახურება რეზიდენტ პირებზე	255 553	450 952
	<u>255 553</u>	<u>450 952</u>

9. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

	2021 წელი (ლარი)	2020 წელი (ლარი)
საბანკო ხარჯები	1 482	345
დაზღვევის ხარჯები	4 570	2 921
ავტომანქანის და სხვა ძირითადი	3 189	-
საშუალებების ექსპლუატაციის ხარჯები	1 800	-
საკონსულტაციო ხარჯი	21 016	22 499
საგადასახადო ხარჯი	1 571	-
კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	131	110
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	<u>33 759</u>	<u>25 876</u>

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი)

	2021 წელი (ლარი)	2020 წელი (ლარი)
მიღებული კომპანსაცია	-	47 321
	<u>-</u>	<u>47 321</u>

11. მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2023 წლის 1 იანვრით განისაზღვრა.

ახალი ნორმატიული აქტების თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

12. ოპერაციული რისკები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომელის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

მენეჯმენტს მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიცია შენარჩუნდება შესაბამისად. აქედან გამომდინარე, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ მომხდარა პოტენციური საგადასახადო ვალდებულების რეზერვის აღიარება.

13. ფინანსური რისკის მართვა

კომპანიის რისკის მენეჯმენტის ფუნქციები იწარმოება, ფინანსური, საოპერაციო და იურიდიული რისკების მიხედვით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასურთან დაკავშირებულ რისკებს), ასევე საკრედიტო რისკებს და ლიკვიდურობასთან დაკავშირებულ რისკებს. ფინანსური რისკის მართვის პირველადი ამოცანაა ჩამოაყალიბოს მისაღები რისკის ლიმიტები და შემდეგ უზრუნველყოს არსებული რისკების ამ ლიმიტების ფარგლებში დარჩენა. საოპერაციო და იურიდიული რისკ მენეჯმენტის ფუნქციები შედგენილია იმაზე გათვლით რომ მოხდეს შიდა პოლიტიკისა და პროცედურების სწორი წარმოება, რათა აცილებული იქნას თავიდან საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი. კომპანიას შესაძლოა დაუდგეს საკრედიტო რისკი, რომელიც არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს ვალდებულების შეუსრულებლობის გამო. საკრედიტო რისკის საფრთხე წარმოიშობა იმის შედეგად, რომ კომპანია

შპს „ა 91“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ლარი)

2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ყიდის პროდუქტებს საკრედიტო პირობებით და სხვა ტრანზაქციებისგან, სადაც კონტრაგენტები წარმოქმნიან ფინანსურ აქტივებს.

კომპანიის მენეჯმენტი განიხილავს გადაუხდელი სავაჭრო მოთხოვნების დავალიანებების ხანდაზმულობის ანალიზს და მიჰყვება ვადაგადაცილებულ ბალანსებს. მენეჯმენტი შესაბამისად სათანადოდ მიიჩნევს, წარმოადგინოს ხანდაზმულობის და სხვა ინფორმაცია საკრედიტო რისკის შესახებ. კომპანიის არც ერთი მოთხოვნა არ არის უზრუნველყოფილი.

საბაზრო რისკი

კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკებს, საბაზრო რისკები ჩნდება არა სამუშაო მდგომარეობაში ა) უცხოურ ვალუტებთან მიმართებაში ბ) საპროცენტო აქტივების და ვალდებულებები მიმართებაში გ) ფასიან ქაღალდებთან მიმართებაში, ყველა მათგანი დაუცველია ზოგადი და სპეციფიური საბაზრო ცვალებადობის მიმართ. მენეჯმენტი აწესებს მათთვის მისაღები რისკის შეფასების ლიმიტებს, რისკის მონიტორინგი ხდება ყოველდღიურად, თუმცა ეს მიდგომა ხელს ვერ შეუშლის დანაკარგების მიღებას როდესაც ბაზარზე მნიშვნელოვანი ცვალებადობის დროს რისკი ამ განსაზღვრულ საზღვრებს გასცდება.

მგრძნობიარობა ქვემოთ დასახელებულ საბაზრო რისკების გავლენაზე გამოყოფილია მხოლოდ ერთი ფაქტორის ცვლილებაზე გათვლით, როდესაც სხვა ფაქტორები რჩება მუდმივი. პრაქტიკაში კი მოვლენების ასეთი განვითარება ნაკლებად მოსალოდნელია ცვლილებები ზოგიერთ კოეფიციენტში კორელაციაშია ერთმანეთთან, მაგალითად ცვლილებები საპროცენტო განაკვეთში შესაძლებელია კორელაციაში იყოს სავალუტო კურსის ცვლილებებთან.

საპროცენტო რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა რომ მცოცავი საპროცენტო განაკვეთი უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი რომ ცვლილებები სავალუტო კურსებში უარყოფითად შეიძლება აისახოს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე. კომპანია არ ახდენს სავალუტო რისკის დაზღვევას.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოადგენს რისკს რომ კომპანია ვერ შეძლებს მის მიერ აღებული ფინანსური ვალდებულების გასტუმრებას. კომპანიის აქვს ყოველდღიური მოთხოვნები მის ფულად რესურსებზე. მენეჯმენტი აკონტროლებს კომპანიის ფულადი ნაკადების უწყისის ყოველთვიურ ბიუჯეტს და ახდენს მის პროგნოზირებას.

14. დაკავშირებული მხარეები

მენეჯმენტის ანაზღაურებამ 2021 წლის განმავლობაში შეადგინა 15,306 ლარი (2020: 10,204 ლარი).

15. გაუთვალისწინებელი გარემოებები

კანონმდებლობა

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ამოქმედდა მოგების გადასახადის დაბეგვრის ახალი რეჟიმი - ე.წ. „ესტონური მოდელი“, რომელიც თვისებრივად განსხვავდება მანამდე მოქმედი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეჟიმისაგან. ამასთან, დაბეგვრის ეს რეჟიმი არის იშვიათი, კერძოდ, საქართველო არის მეორე ქვეყანა ევროპაში (ესტონეთის შემდეგ), რომელმაც მოგების გადასახადით დაბეგვრის ეს მოდელი აირჩია. მოდელის თავისებურები, თვისობრივი სიახლე და საგადასახადო პრაქტიკის არარსებობა ქმნის გარკვეულ განუზღვრელობას მოგების გადასახადით დაბეგვრის საკითხში. მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ მის მიერ განხორციელებული მიდგომა საგადასახადო საკითხების მიმართ ადეკვატურია ამ მომენტში საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო ინტერპრეტაციების მიმართ.

სასამართლო დავები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის წინააღმდეგ არ მიმდინარეობდა სასამართლო დავები. ამავე დროს კომპანია ამ პერიოდისათვის არ აწარმოებდა სასამართლო დავებს სხვა პირების წინააღმდეგ.

ახალი კორონავირუსის Covid-19-ის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2020 წლის დასაწყისში გავრცელებულმა კორონა ვირუსმა სწრაფად მოიცვა მთელი მსოფლიო, საქართველოს ჩათვლით და უდიდესი სოციალური თუ ეკონომიკური ზიანი მიაყენა ქვეყნებს. 2020 წლის 11 მარტს, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) COVID-19 კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. პირველი შემთხვევა საქართველოში, ოფიციალურად, 2020 წლის 26 თებერვალს დაფიქსირდა. ვირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომების ნაწილის სახით, საქართველოს მთავრობამ სხვადასხვა დროს დააწესა სხვადასხვა სახის შეზღუდვები. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ახალი კორონავირუსის გავრცელების შესაძლო შედეგები კომპანიისთვის არ იქნება მნიშვნელოვანი ხასიათის.

შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე, კომპანიას შეექმნა უმნიშვნელო ფინანსური სირთულეები, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მის ძირითად მომხმარებლებზე არ იმოქმედებს არსებული გარემოება და კომპანია უწყვეტ რეჟიმში შეძლებს ფუნქციონირებას.

უნდა აღინიშნოს, რომ ყოველივე ზემოთქმული დამოკიდებულია საქართველოში და მსოფლიოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბებზე და ხანგრძლივობაზე, ასევე იმის მიხედვით, თუ რამდენ ხანს გაგრძელდება მოცემული მდგომარეობა, პროგნოზი შეიძლება შეიცვალოს.

16. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ განვითარებული მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არ მომხდარა რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას.

17. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 18 აგვისტოს.